საერთაშორისო გამჭვირვალობა–საქართველო
TRANSPARENCY INTERNATIONAL GEORGIA
www.transparency.ge

# 2012-2014 წლებში
# საქართველოს თვითმმართველობებში
# 100 მილიონ ლარზე მეტი გაიცა

---

ივნისი 2015

თბილისი / Tbilisi

რუსთაველის გამზ. 26,III სართ. , 0108
ტელ.: +(995 32)292 14 03
ფაქსი: +(995 32) 292 02 51
ელ-ფოსტა: info@transparency.ge

26 Rustaveli Ave,III floor, 0108
Tel: +(995 32)292 14 03
Fax:+(995 32) 292 02 51
E-mail: info@transparency.ge

ბათუმი / Batumi

26 მაისის ქ. 36/ჯინჭარაძის 10, 6010
ტელ./ფაქსი:+ (995 422 ) 29 44 88
ელ-ფოსტა: info@transparency.ge

36, 26 May Str./10 Jincharadze str. 6010
Tel./Fax:+ (995 422) 29 44 88
E-mail: info@transparency.ge

ზუგდიდი / Zugdidi

ცოტნე დადიანის ქ. 3, 2100,
ტელ./ფაქსი: +(995 415) 22 37 20
ელ-ფოსტა: info@transparency.ge

3 Tsotne Dadiani Str., 2100
Tel./Fax.: +(995 415) 22 37 20
E-mail: info@transparency.ge

ქუთაისი / Kutaisi

9 აპრილის ქ. 10, 4600
ტელ./ფაქსი: +(995 431) 29 26 54
ელ-ფოსტა: info@transparency.ge

10, 9 April Str, 4600
Tel./Fax.: +(995 431) 29 26 54
E-mail: info@transparency.ge

# სარჩევი


შესავალი ..... 3

კვლევის შედეგები ..... 5

თბილისი ..... 8

თბილისის მერია ..... 8

თბილისის საკრებულო ..... 8

აჭარა ..... 14

იმერეთი ..... 20

სამეგრელო-ზემო სვანეთი ..... 22

ქვემო ქართლი ..... 25

შიდა ქართლი ..... 27

კახეთი ..... 30

სამცხე-ჯავახეთი ..... 33

მცხეთა-მთიანეთი ..... 35

რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი ..... 37

გურია ..... 39

დასკვნა ..... 41

# შესავალი

სახელმწიფო ორგანოებში სახელფასო დანამატებისა და პრემიების გაცემის თემა მედიისა და არასამთავრობო სექტორის ყურადღების ცენტრში არაერთხელ მოექცა. მთავრობის მიერ დაანონსებული მოხელეთა პრემირების წესის დარეგულირების მცდელობის მიუხედავად, დღეს მოქმედი კანონმდებლობით, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს შეუძლიათ პროცესი ისევ ძველი მანკიერი პრაქტიკით გააგრძელონ.

წინამდებარე ანგარიშში წარმოდგენილია ინფორმაცია 2012 წლის 1 იანვრიდან 2014 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით საქართველოს მუნიციპალიტეტებში გაცემული პრემიისა და სახელფასო დანამატის შესახებ. „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველომ" ინფორმაცია 59 მუნიციპალიტეტიდან და 12 თვითმმართველი ქალაქიდან (მათ შორის თბილისის რაიონების გამგეობებიდან) გამოითხოვა. გაირკვა, რომ **2012-2014 წლებში საქართველოს თვითმმართველობებში პრემიისა და სახელფასო დანამატის სახით 100 მილიონ ლარზე მეტი გაიცა.** გამომდინარე იქედან, რომ ცალკეული მუნიციპალიტეტის საკრებულომ და გამგეობამ/მერიამ ჩვენს მიერ გამოთხოვილი ინფორმაცია საერთოდ არ მოგვაწოდა, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ გაცემული პრემიებისა და დანამატების რიცხვი აღემატება ზემოხსენებულ მაჩვენებელს.

გაცემული პრემიებისა და დანამატების შესახებ ინფორმაცია სრულად არ მოგვაწოდეს შემდეგმა ორგანოებმა:

- ცაგერის, გარდაბნისა და დმანისის გამგეობამ 2012-2013 წლებში გაცემული პრემიების შესახებ;
- ცაგერის საკრებულომ 2012-2013 წლებში გაცემული პრემიების შესახებ ინფორმაცია მოგვაწოდა იმდაგვარად, რომ მათი ზუსტი ჯამის დადგენა შეუძლებელია;
- თერჯოლისა და წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოებმა ინფორმაცია საერთოდ არ მოგვაწოდეს;
- ასევე არ მიგვიღია ინფორმაცია 2014 წელს ახალციხის აწ უკვე ლიკვიდირებული მუნიციპალიტეტისა და გორის ახლად შექმნილ გამგეობაში გაცემული პრემიის შესახებ;
- თელავის აწ უკვე ლიკვიდირებულ გამგეობაში 2012-2013 წლებში გაცემული პრემიების შესახებ ინფორმაცია „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის" ვებგვერდიდან ავიღეთ, რადგან ჩვენი მოთხოვნის მიუხედავად, ინფორმაცია თელავის მუნიციპალიტეტის გამგეობამ არ მოგვაწოდა;
- არ მიგვიღია ინფორმაცია 2012 წელს თბილისის რაიონის გამგეობებში გაცემული პრემიისა და დანამატის შესახებ, თუმცა თბილისის მერიამ მოგვაწოდა მონაცემები გამგებლებისა და მათი მოადგილეების მიერ მიღებულ თანხებზე. ასევე ინფორმაცია არ მოგვაწოდეს საბურთალოსა და ნაძალადევის რაიონების გამგეობებმა 2014 წელს გაცემულ პრემიასა და დანამატზე.

სამწუხაროა, რომ მუნიციპალიტეტების ნაწილმა კანონის უხეში დარღვევით და უპასუხისმგებლო დამოკიდებულებით, დამალა გაცემული პრემია/დანამატების შესახებ მნიშვნელოვანი ინფორმაცია, რამაც ორგანიზაციის მკვლევარებს კვლევის სრულყოფილად ჩატარების შესაძლებლობა არ მისცა - ზოგიერთი მუნიციპალიტეტის

შესაბამისი პასუხისმგებელი პირები ვერ აცნობიერებენ საჯარო ინფორმაციის შეუფერხებლად ხელმისაწვდომობის მნიშვნელობას და ინფორმაციის უკანონოდ დამალვით ლახავენ ლეგიტიმურ საჯარო ინტერესს.

# კვლევის შედეგები

ჩატარებულმა კვლევამ გამოავლინა, რომ არასრულყოფილი საკანონმდებლო რეგულაციების გამო, პრემიებისა და დანამატების გაცემის დამკვიდრებულმა მანკიერმა პრაქტიკამ სისტემური პრობლემის ხასიათი მიიღო. მიუხედავად მთავრობის არაერთი განცხადებისა, კვლავ გრძელდება პრემიებისა და დანამატების რეგულარულად გაცემის პრაქტიკა. ასევე, რიგ მუნიციპალიტეტებში ჯერ კიდევ არ არის შემუშავებული პრემირებისა და სახელფასო დანამატების გაცემის წესი. არის შემთხვევები, როდესაც წახალისების მიზნით, საჯარო მოხელეები თანხას კონკრეტული ძვირადღირებული საყოფაცხოვრებო ნივთის შესაძენად იღებენ.

კვლევის შედეგად შემდეგი კონკრეტული ფაქტები გამოვლინდა:

- **მუნიციპალიტეტების ნაწილში პრემიები თითქმის ყოველთვიურად, ყოველგვარი დასაბუთების გარეშე გაიცემა.** ადმინისტრაციული ორგანო გამოსცემს მხოლოდ ერთ სამართლებრივ აქტს, სადაც დასაბუთებული არ არის საჯარო მოხელეთა ფინანსური წახალისების საფუძველი; თუმცა არის გამონაკლისი შემთხვევებიც, მაგალითად, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში ცალკეულ მოხელეებზე პრემია გაიცა „სამსახურეობრივ მოვალეობათა სანიმუშოდ და განსაკუთრებული მნიშვნელობის დავალებათა შესრულებისათვის"; კასპის მუნიციპალიტეტის საკრებულოში კი 2014 წელს რამდენიმე თანამდებობის პირზე პრემია გასცეს „სამსახურეობრივი მოვალეობის აქტიურად შესრულებისთვის", 2014 წელს ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის რამდენიმე მოხელეზე დანამატი გაიცა „ზეგანაკვეთური სამუშაოს შესრულებისათვის";

- „საჯარო დაწესებულებებში პრემიის ოდენობის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 ივლისის N449 დადგენილებით, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს გაეწიათ რეკომენდაცია პრემიების ოდენობის განსაზღვრისა და გაცემის წესის მიღების შესახებ, თუმცა **დადგენილება ამ ეტაპისათვის 71 მუნიციპალიტეტიდან 43 მუნიციპალიტეტმა მიიღო;**

- საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაციის თანახმად, **პრემიის გაცემის წესი ჯერაც არ განუსაზღვრავთ შემდეგ მუნიციპალიტეტებში:** თბილისი, ბათუმი, თემი ოზურგეთი, ქალაქი ოზურგეთი, ქალაქი თელავი, ქუთაისი, მესტია, ხობი, ლანჩხუთი, შუახევი, ხულო, ლენტეხი, ამბროლაური, ხაშური, დუშეთი, თიანეთი, თემი მცხეთა, ქალაქი მცხეთა, ყვარელი, ახმეტა, სამტრედია, ხონი, ნინოწმინდა, ახალქალაქი, ბორჯომი, ადიგენი, მარნეული, გარდაბანი;

- მუნიციპალიტეტის აბსოლუტურ უმრავლესობაში, როგორც წესი, პრემია სადღესასწაულო დღეებთან დაკავშირებით გაიცემა, (ახალ წელს, მარიამობას, დედისა და ქალთა, ასევე დამოუკიდებლობის დღეს), თუმცა ბევრგან პრემია და დანამატი არასადღესასწაულო პერიოდშიც აქტიურად გაიცემა;

- წინამდებარე კვლევით დადგინდა ისიც, რომ რამდენიმე მუნიციპალიტეტში თანამდებობის პირებს სახელფასო სარგოს ოდენობაზე მეტი პრემია აქვთ აღებული;

- აღსანიშნავია, რომ 2013 წლის 27 თებერვლის ბრძანებით, ქუთაისის საკრებულოს თავმჯდომარემ ქუთაისის საკრებულოს ყოფილ თავმჯდომარეს ამირან ხვადაგიანს, წახალისების მიზნით, ქალაქ ქუთაისის ადგილობრივი ბიუჯეტის საკრებულოს წარმომადგენლობითი ხარჯების მუხლიდან 1386 ლარი გამოუყო - 1299 ლარად შეფასებული ტელევიზორის LED SAMSUNG UE40EH6030W-სა და 87 ლარის ღირებულების ტელევიზორის საკიდის შესაძენად;

- კასპის მუნიციპალიტეტში, 2012 წელს, ყოფილმა გამგებელმა კახაბერ ხაჩირაშვილმა და გამგებლის ყოფილმა მოადგილემ ნუგზარ ნონიაშვილმა პრემია 12-ჯერ აიღეს, აპრილსა და აგვისტოში კი ხელფასის ორმაგი ოდენობით. 2012 წელს ასევე 12-ჯერ აიღეს პრემია კასპის საკრებულოს ყოფილმა თავმჯდომარემ დავით მესროფაშვილმა და მისმა ყოფილმა მოადგილემ გიორგი გოგოლაურმა;

- **2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შემდეგ თბილისსა და ბათუმში გახშირდა ყოველთვიურად პრემიასთან ერთად, დანამატების გაცემის შემთხვევებიც, რაც არღვევს დანამატების გაცემის პრინციპს.** დანამატი შეიძლება გამოყენებული იქნას მხოლოდ, როგორც დროებითი და არა ყოველთვიური ღონისძიება;

- **აღსანიშნავია, რომ პრემია და სახელფასო დანამატი არ გაცემულა** 2012 წელს ხონის გამგეობაში, 2013 წელს – ჩხოროწყუსა და ოზურგეთის (აწ უკვე ლიკვიდირებული) მუნიციპალიტეტების გამგეობასა და საკრებულოში, 2013-2014 წლებში – ტყიბულის საკრებულოში, 2014 წელს – თვითმმართველი ქალაქ ოზურგეთის მერიასა და საკრებულოში;

- **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გამოკლებით, 2012 წელთან შედარებით, 2013 წელს ადგილობრივ მუნიციპალიტეტებში (გამგეობებში და საკრებულოებში) პრემიისა და დანამატის გაცემის მაჩვენებელი გაიზარდა, 2014 წელს კი შემცირდა, თუმცა იგი 2012 წლის მაჩვენებელთან შედარებით მეტია.**

## 2012-2014 წელს მუნიციპალიტეტებში (თბილისის გარდა) გაცემული პრემიისა და დანამატის ოდენობა




## 2012-2014 წლებში რეგიონებში და დედაქალაქში გაცემული პრემია/დანამატის ოდენობა (ლარი)



# თბილისი

## თბილისის მერია

აღსანიშნავია, რომ ქალაქ თბილისში, 2012 წელთან შედარებით, 2013-2014 წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა პრემიისა და დანამატის გაცემის მაჩვენებელი, კერძოდ – 2012 წელს გაიცა 6 133 599 ლარი, 2013 წელს – 8 930 744.74 ლარი, 2014 წელს კი 13 775 997.49 ლარი;




## თბილისის საკრებულო

თბილისის საკრებულოში პრემიისა და დანამატის სახით, 2014 წელს იმაზე მეტი თანხა გასცა, ვიდრე 2012-2013 წლებში ერთად, ცალკეული თანამდებობის პირების მიერ აღებული პრემიისა და დანამატის შესახებ ინფორმაცია კი თბილისის საკრებულოს არ მოუწოდებია.




მნიშვნელოვანი განსხვავებაა თბილისის საკრებულოში წინა და ახალი მოწვევის საკრებულოების მიერ 2014 წელს გაცემულ პრემიებსა და დანამატების რაოდენობებს შორის: 2014 წლის 1 იანვრიდან 15 ივლისის ჩათვლით, თანამდებობის პირებსა და შტატიან თანამშრომლებზე **3 422 730** ლარის ოდენობის პრემია გაიცა, შტატგარეშე მოსამსახურეებზე კი **64 000** ლარი, ხოლო 2014 წლის 15 ივლისიდან 31 დეკემბრის ჩათვლით პრემიის სახით სულ **790 695** ლარი, შტატგარეშე თანამშრომლებზე კი **100 973** ლარი გაიცა;

თბილისის რაიონების გამგეობებში პრემიისა და დანამატის სახით **3 386 094.34** ლარი გაიცა. მაგრამ გამომდინარე იქედან, რომ არ მიგვიღია ინფორმაცია 2012 წელს გამგეობებში, 2014 წელს კი საბურთალოსა და ნაძალადევის რაიონის გამგეობებში გაცემულ პრემიასა და დანამატებზე. შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ გაცემული პრემიებისა და დანამატების რიცხვი აღემატება ზემოხსენებულ მაჩვენებელს. აღსანიშნავია, რომ თბილისის მერიამ მოგვაწოდა ინფორმაცია 2012 წელს თბილისის ყველა რაიონის გამგებლისა და გამგებლის მოადგილის მიერ აღებულ თანხებზე;

თბილისის მერიაში, საკრებულოსა და თბილისის რაიონის გამგეობებში 2012-2014 წლებში პრემიისა და სახელფასო დანამატის სახით ჯამში **40 მილიონ ლარზე მეტი (40 652 925.57)** გაიცა. ქვემოთ მოცემულ გრაფიკებში კი წარმოდგენილია ინფორმაცია ყოფილი და მოქმედი ცალკეული თანამდებობის პირების მიერ აღებული პრემიისა და სახელფასო დანამატის შესახებ:

**ქალაქ თბილისის ყოფილი მერისა და მერის ყოფილი მოადგილეების მიერ აღებული პრემიებისა და დანამატების შესახებ ინფორმაცია იხილეთ ცხრილში:**

| სახელი/გვარი | პოზიცია | 2012 წ. | | 2013 წ. | | 2014 წლის ივლისამდე | | ჯამი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | პრემია | დანამატი | პრემია | დანამატი | პრემია | დანამატი | |
| გიორგი უგულავა | ყოფილი მერი | 57240 | - | - | 33185.55 | - | - | 90 425.55 |
| დავით ნინიძე | მერის ყოფილი მოადგილე | 47700 | - | 19600 | 42082.5 | 11200 | 20148.3 | 140 730.8 |
| პაპუნა პეტრიაშვილი | მერის ყოფილი მოადგილე | 17290 | - | 19600 | 41610 | 11200 | 23940 | 113 640 |
| შოთა ხიზანიშვილი | მერის ყოფილი მოადგილე | 2470 | - | 28000 | 39201.75 | 11200 | 22304.4 | 103 176.15 |
| სევდია უგრეხელიძე | ყოფილი ვიცე მერი | - | - | 18437 | 37693.75 | 13050 | 23456.09 | 92 636.84 |
| ირაკლი აბესაძე | მერის ყოფილი მოადგილე | - | - | 19000 | 37383.14 | 11200 | 21858.26 | 89 441.4 |
| დავით ალავიძე | მერის ყოფილი მოადგილე | 44460 | - | 8400 | 21090 | - | - | 73 950 |
| ტარიელ ხიზანეიშვილი | მერის ყოფილი მოადგილე | 41990 | - | - | - | - | - | 41 990 |
| ანდრია ურუშაძე | მერის ყოფილი მოადგილე | 16231.44 | - | - | - | - | - | 16 231.44 |
| გიორგი ცხაკაია | მერის ყოფილი მოადგილე | 3881.44 | - | - | - | - | - | 3 881.44 |

**ქალაქ თბილისის მოქმედ მერს დავით ნარმანიას და მის მოადგილეებს 2014 წლის ივლისიდან დეკემბრის ჩათვლით პრემია არ აუღიათ, დანამატი კი მხოლოდ მერის მოადგილეებზე გაიცა შემდეგი ოდენობებით:**




თბილისის რაიონების გამგეობებში პრემიისა და დანამატის სახით 2012-2014 წლებში **3 386 094.34** ლარი გაიცა. მაგრამ გამომდინარე იქედან, რომ არ მიგვიღია ინფორმაცია 2012 წელს გამგეობებში, 2014 წელს კი საბურთალოსა და ნაძალადევის რაიონის გამგეობებში გაცემულ პრემიასა და დანამატებზე შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ გაცემული პრემიებისა და დანამატების რიცხვი აღემატება ზემოხსენებულ მაჩვენებელს.

აღსანიშნავია, რომ თბილისის მერიამ მოგვაწოდა ინფორმაცია 2012 წელს თბილისის ყველა რაიონის გამგებლისა და გამგებლის მოადგილის მიერ აღებული თანხების შესახებ:

**თბილისის რაიონების ყოფილი გამგებლების მიერ აღებული პრემია და დანამატი:**

| სახელი/ გვარი | პოზიცია | 2012 წ. | | 2013 წ. | | 2014 წლის ივლისამდე. | | ჯამი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | პრემია | დანამტი | პრემია | დანამტი | პრემია | დანამტი | |
| ნოდარ სანდუხაძე | გლდანი-ნაძალადევის ყოფილი გამგებელი. გლდანის ყოფილი გამგებელი | 37980 | - | 15600 | 32830 | 10400 | 18550 | **115 360** |
| თორნიკე ხუციშვილი | ვაკე-საბურთალოს ყოფილი გამგებელი, ისნის ყოფილი გამგებელი | 27360 | - | 15600 | 30480 | 10400 | 18550 | **102 390** |
| დავით დაღელა | ჩუღურეთის ყოფილი | - | - | 15600 | 32830 | 10400 | 18550 | **77 380** |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| შვილი | გამგებელი | | | | | | | |
| ნიკანორ მელია | მთაწმინდის ყოფილი გამგებელი | - | - | 15600 | 31880.5 | 10400 | 14638.1 | **72 518.59** |
| გიორგი ხახნელიძე | სამგორის ყოფილი გამგებელი | - | - | 15600 | 26500 | 10400 | 18550 | **71 050** |
| ჰენრი დოლიძე | ვაკის ყოფილი გამგებელი | - | - | 15600 | 26890 | 10400 | 17540.5 | **70 430.47** |
| გია ხუროშვილი | საბურთალოს ყოფილი გამგებელი | - | - | 15600 | 25440 | 10400 | 18550 | **69 990** |
| ლევან მხეიძე | დიდუბის ყოფილი გამგებელი | - | - | 15600 | 26500 | 10400 | 16937 | **69 436.98** |
| ხათუნა ბერძენიშვილი | კრწანისის ყოფილი გამგებელი | - | - | 15600 | 23850 | 10400 | 18297.6 | **68 147.61** |
| თეიმურაზ გრიგალაშვილი | ისანი-სამგორის ყოფილი გამგებელი, კრწანისის ყოფილი გამგებელი | 35870 | - | 0 | 6330 | - | - | **42 200** |
| რამაზ სულამანიძე | დიდუბე-ჩუღურეთის ყოფილი გამგებელი | 4220 | - | - | - | - | - | **4 200** |
| ვახტანგ ბალავაძე | ნაძალადევის რაიონის ყოფილი გამგებელი | - | - | 7800 | 3911.9 | 10400 | 18550 | **40 661.9** |
| გიორგი ნიკოლაძე | დიდგორის ყოფილი გამგებელი | 37980 | - | - | - | - | - | **37 980** |
| დავით ავალიანი | ძველი თბილისის ყოფილი გამგებელი | 23210 | - | - | - | - | - | **23 210** |

2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შემდეგ თბილისის ყველა რაიონის გამგებელი შეიცვალა. ახალ გამგებლებს 2014 წელს (აგვისტო-დეკემბერი) პრემია არ აუღიათ, თუმცა ამავე პერიოდში თითოეულ მათგანზე გაიცა სახელფასო დანამატი შემდეგი ოდენობებით:




აღსანიშნავია, რომ 2014 წელს, იანვრიდან ივლისის ჩათვლით, თბილისის მერიის თანამშრომლებზე პრემიის სახით გაიცა 8 196 068.5 ლარი, 2014 წლის აგვისტოსა და სექტემბერში თბილისის მერიაში პრემიები არ გაცემულა, ოქტომბერ-დეკემბრის პერიოდში კი პრემიის სახით ჯამში 2 372 368 ლარი იქნა გაცემული. რაც შეეხება 2014 წელს თბილისის მერიის ადმინისტრაციის ასიგნებებიდან გაცემულ დანამატს – იანვარი-ივლისის პერიოდში გაიცა 1 876 495.5, აგვისტო-დეკემბრის განმავლობაში – 1 331 065.35 ლარი.

# აჭარა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მუნიციპალიტეტებში (ბათუმი, ქედა, ქობულეთი, შუახევი, ხელვაჩაური, ხულო) 2012-2014 წლებში პრემიისა და სახელფასო დანამატის სახით ჯამში **18 115 336** ლარი გაიცა. ამ თანხის ნახევარზე მეტი მხოლოდ ერთი თვითმმართველი ერთეულის – ბათუმის მერიისა და საკრებულოს თანამშრომლებმა მიიღეს ჯამში **9 491 695** ლარის ოდენობით, ბოლო სამი წლის მანძილზე **2 165 545** ლარი გაიცა ქობულეთის გამგეობასა და საკრებულოში. სხვა მუნიციპალიტეტებში გაცემული თანხის ოდენობა კი საშუალოდ 1 მილიონ 400 ათას ლარზე მეტია.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პრემიისა და დანამატის გაცემის მნიშვნელოვნად მზარდი მაჩვენებელი ფიქსირდება ქალაქ ბათუმის მერიაში, 2012 წელს გაიცა **2 538 625.02** ლარი, 2013 წელს – **2 870 683** ლარი, 2014 წელს კი – **3 074 102** ლარი. თუმცა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ყველა მუნიციპალიტეტში მთლიანობაში პრემიებისა და დანამატის გაცემის მაჩვენებელი კლებადია.




2012-2014 წლებში აჭარის მუნიციპალიტეტების გამგეობებში (მერიაში) გაცემული პრემია და სახელფასო დანამატი
2014 წელი
2013 წელი
2012 წელი
ხულო
521233
512199.5
569665
ხელვაჩაური
217809
487028.7
550123
შუახევი
374213
372955
548973
ქობულეთი
587755
533570
707765
ქედა
392220
266183.8
549675
ბათუმი
3074102
2870683
2538625.02


2012-2014 წლებში აჭარის მუნიციპალიტეტების საკრებულოებში გაცემული პრემია და სახელფასო დანამატი
2014 წელი
2013 წელი
2012 წელი
ხულო
125640
91268.5
86485
ხელვაჩაური
147457
108281
105536.11
შუახევი
37190
73395
84060
ქობულეთი
119165
100520
116770
ქედა
47280
91545
97680.22
ბათუმი
214315
414470
379499.69

**ქალაქ ბათუმის მოქმედი და ყოფილი მერის, ასევე მათი მოადგილეების მიერ აღებული პრემიისა და დანამატის შესახებ ინფორმაცია იხლეთ ცხრილში:**

| სახელი/გვარი | პოზიცია | 2012 წ. | | 2013 წ. | | 2014 წ. | | ჯამი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | პრემია | დანამატი | პრემია | დანამატი | პრემია | დანამატი | |
| რობერტ ჩხაიძე | ბათუმის ყოფილი მერი | 16375 | - | - | - | - | - | 16375 |
| დავით სამნიძე | ბათუმის მერის ყოფილი მოადგილე | 5600 | - | - | - | - | - | 5600 |
| ჯემალ ანანიძე | მერის ყოფილი მოადგილე/ყოფილი მერი | 23 300 | - | 25 806 | - | - | - | 49 106 |
| დავით ლეკვეიშვილი | მერის ყოფილი მოადგილე | 21 760 | 250 | 22391 | - | - | - | 44 401 |
| რუსლან ქორიძე | მერის მოადგილის მ/შ | - | - | 11436 | - | 12355 | - | 23 791 |
| ზურაბ პატარაია | მერის ყოფილი მოადგილის მ/შ | - | - | - | - | 11570 | - | 11570 |
| გიორგი ერმაკოვი | ბათუმის მერი | - | - | 5535 | - | 16 535 | 2945.45 | 25015.45 |
| ნათია სურგულაძე | მერის მოადგილე | 21 550 | 250 | 20 951 | - | - | - | 420351 |

**ბათუმის საკრებულოს ცალკეული თანამდებობის პირთა მიერ აღებული პრემიისა და სახელფასო დანამატის შესახებ ინფორმაცია:**




აღსანიშნავია, რომ ბათუმის საკრებულოს თანამდებობის პირებმა 2014 წლის დეკემბერში, წინა თვეებში მიღებული პრემიების სამმაგი ოდენობა აიღეს. მაგალითისთვის, საკრებულოს თავმჯდომარემ ირაკლი ქეიშვილმა 2014 წლის აგვისტოდან ნოემბრის ჩათვლით, ყოველთვიურად 1 375 ლარი აიღო პრემიის სახით, დეკემბერში კი 4 125 ლარი. ასეთივე მოცემულობაა საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის ირაკლი ჩავლეიშვილის დარიცხულ პრემიებზეც – აგვისტოდან ნოემბრის ჩათვლით, ყოველთვიურ პრემიად 1025 ლარი მიიღო, დეკემბერში კი ამ თანხის სამმაგი ოდენობა – 3 075 ლარი. პრემიის სამმაგი ოდენობა მიიღო ბათუმის საკრებულოს თითქმის ყველა თანამდებობის პირმა.

ბათუმის მერიიდან მიღებული წერილებიდან ირკვევა, რომ დიდი რაოდენობის პრემია და დანამატი მიიღეს ბათუმის მერიის თანამდებობის პირებმაც. ქალაქის მერმა გიორგი ერმაკოვმა, ვიცე მერმა ბაგრატ მანველიძემ, მერის მოადგილეებმა ზურაბ ბერიძემ და ალექსანდრე ბითაიშვილმა 2014 წლის აგვისტოდან დეკემბრის ჩათვლით, პრემია ყოველთვე აიღეს, სექტემბრიდან კი პრემიას ყოველთვიური დანამატიც დაემატა, ჯამში, მერიის ოთხმა მაღალჩინოსანმა 2014 წლის აგვისტოდან დეკემბრის ჩათვლით, ხელფასის, პრემიისა და დანამატის სახით, 103 834 ლარი მიიღო.

რაც შეეხება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სხვა თვითმმართველ ერთეულებს, ხულოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ ნოდარ თავართქილაძემ 2012-2014 წლებში პრემიის სახით ჯამში 34 397.5 ლარი მიიღო, ხულოს მუნიციპალიტეტის ყოფილი გამგებლის თემურ ბოლქვაძის მიერ 2012 წელს მიღებული პრემიის ოდენობამ 10 620 ლარი შეადგინა, ბესიკ ბაუჩაძემ კი, რომელიც ხულოს გამგებელი 2013 წელს გახდა, პრემიის სახით 2013-2014 წლებში 9 355 ლარი აიღო.

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ მალხაზ ფარტენაძემ 2012-2014 წლებში პრემია 23-ჯერ აიღო, ჯამში 32 104.28 ლარი ოდენობით. ხელვაჩაურის ყოფილმა გამგებელმა თემურ დუმბაძემ პრემიის სახით 2012 წელს 10 620 ლარი აიღო,

ამავე პერიოდში 10-ჯერ მიიღო პრემია მისმა მოადგილემ გურამ საფარიძემ, ჯამში 11 565 ლარის ოდენობით.

შუახევის ყოფილმა გამგებელმა ნუგზარ ამაღლობელმა 2012 წელს 14 450 ლარის ოდენობის პრემია მიიღო, შუახევის ასევე ყოფილი გამგებლის თამაზ დავითაძის მიერ მიღებულმა პრემიამ 2013 წელს 7 066 ლარი შეადგინა, შუახევის დღეს მოქმედმა გამგებელმა ტარიელ ებრალიძემ კი 2013-2014 წლებში პრემიის სახით, ჯამში 8 834 ლარი მიიღო.

შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ იური ქათამაძემ 2012-2014 წლებში პრემიის სახით 32 710 ლარი მიიღო, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ბადრი დიასამიძის მიერ ამავე პერიოდში მიღებული პრემიის ჯამურმა ოდენობამ 34 604 ლარი შეადგინა. ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ყოფილმა თავმჯდომარემ ნიკო ბერაძემ 2012 წელს პრემიის სახით 12 980 ლარი მიიღო, ხოლო 2013-2014 წლებში ქობულეთის საკრებულოს თავმჯდომარემ ელგუჯა ბაგრატიონმა 21 200 ლარი.

# იმერეთი

იმერეთის მუნიციპალიტეტებში (ქუთაისი, სამტრედია, წყალტუბო, ტყიბული, ჭიათურა, ხონი, ვანი, ბაღდათი, ზესტაფონი, საჩხერე, თერჯოლა, ხარაგაული) 2012-2014 წლებში პრემიისა და სახელფასო დანამატის სახით 12 მილიონ ლარზე მეტი (12 631 286.59) იქნა გაცემული.

კვლევამ გამოავლინა, რომ ყველაზე დიდი მოცულობით პრემია და დანამატი ქუთაისის მერიისა და საკრებულოს თანამშრომლებმა მიიღეს, ჯამში მათზე გაცემულმა თანხამ 4 686 346 ლარი შეადგინა.

აღსანიშნავია, რომ 2012 წელს, ხონის მუნიციპალიტეტის გამგეობაში, პრემია არ გაცემულა, 2013-2014 წლებში კი ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულოში. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ მოწოდებული მასალების მიხედვით, 2012 – 2014 წლებში, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 55 თანამშრომელზე ჯამში 541 325 ლარის ოდენობით პრემია გაიცა. სამწუხაროდ, თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულომ, საქართველოს კანონმდებლობა დაარღვია და ინფორმაცია გაცემული პრემიისა და დანამატის შესახებ არ მოგვაწოდა.




2012-2014 წლებში იმერეთის მუნიციპალიტეტების გამგეობებში (მერიაში) გაცემული პრემია და სახელფასო დანამატი
2014 წელი
2013 წელი
2012 წელი
ქუთაისი
497160
1912628
1597773
წყალტუბო
327960
443550
158794
ტყიბული
42220
4920
220020
ჭიათურა
315640
241785
199285
ხონი
182260
180510
0
სამტრედია
280769.34
415985
316829.25
ვანი
107690
135115
107320
ბაღდათი
114110
338498
187674
ზესტაფონი
146350
141060
147790
საჩხერე
146986
51380
50540
თერჯოლა
105170
110160
121845
ხარაგაული
141720
172680
176479


2012-2014 წლებში იმერეთის მუნიციპალიტეტების საკრებულოებში გაცემული პრემია და სახელფასო დანამატი
2014 წელი
2013 წელი
2012 წელი
ქუთაისი
208352
241724
228709
წყალტუბო
160875
268260
112190
ტყიბული
0
0
52170
ჭიათურა
33845
94350
53283
ხონი
54860
48550
12490
სამტრედია
100635
124735
141649
ვანი
88980
114556
59283
ბაღდათი
48370
71040
32050
ზესტაფონი
80800
53870
41075
საჩხერე
78010
51380
50540
თერჯოლა
მონაცემი არ არის
ხარაგაული
19840
33080
31080

# სამეგრელო-ზემო სვანეთი

სამეგრელო-ზემო სვანეთის მუნიციპალიტეტებში **(მარტვილი, აბაშა, სენაკი, ფოთი, ხობი, ზუგდიდი, ჩხოროწყუ, წალენჯიხა და მესტია)** 2012-2014 წლებში პრემიისა და სახელფასო დანამატის სახით **10 მილიონ** ლარზე მეტი **(10 702 085.99)** იქნა გაცემული.

სამეგრელო-ზემო სვანეთში ბოლო სამი წლის მანძილზე ყველაზე დიდი მოცულობით პრემია ფოთის, აბაშის, სენაკისა და ზუგდიდის (ლიკვიდირებულ) მუნიციპალიტეტებში გაიცა. აღსანიშნავია ისიც, რომ **2013 წელს პრემია არ გაცემულა ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის გამგეობასა და საკრებულოში.**









სამეგრელო-ზემო სვანეთის ცალკეული მუნიციპალიტეტის ყოფილი და მოქმედი თანამდებობის პირების მიერ აღებული პრემიისა და დანამატის შესახებ ინფორმაცია ქვემოთ მოცემულ ცხრილშია წარმოდგენილი:

| სახელი/ გვარი | პოზიცია | 2012 წ. | | 2013 წ. | | 2014 წ. | | ჯამი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | პრემია | დანამატი | პრემია | დანამატი | პრემია | დანამატი | |
| ალექსანდრე ქობალია | ზუგდიდის ყოფილი გამგებელი | 14 160 | - | - | - | - | - | **14 160** |
| ლევან კონჯარია | ზუგდიდის საკრებულოს ყოფილი თავმჯდომარე, ქ. ზუგდიდის საკრებულოს ფრაქცია ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარე | 14 160 | - | 15 900 | - | 9 450 | 1500 | **41 010** |
| ედიშერ თოლორაია | ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მოქმედი გამგებელი | - | - | 13 625 | | 13 250 | | **26 875** |
| მერაბ ქვარაია | ზუგდიდის გამგებლის ყოფილი მოადგილე, ქ. | - | - | 4 275 | - | 6 650 | 2 750 | **13 675** |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | ზუგდიდის საკრებულოს მოქმედი თავმჯდომარე | | | | | | | |
| ირაკლი გოგოხია | ქალაქ ზუგდიდის მერი | - | - | - | - | 5 500 | - | **5 500** |
| ლაშა გოგია | თემი ზუგდიდის საკრებულოს თავმჯდომარე | - | - | - | - | 5 300 | - | **5 300** |
| დათო სარსანია | ფოთის ყოფილი მერი | - | - | 11 000 | - | 2 750 | - | **13 750** |
| ირაკლი კაკულია | ფოთის მოქმედი მერი | - | - | - | - | 7 550 | - | **7 550** |
| გურამ გუნავა | აბაშის ყოფილი გამგებელი | 11 800 | - | - | - | - | - | **11 800** |
| გოჩა ქანტურია | აბაშის ყოფილი გამგებელი | - | - | 7 950 | - | - | - | **7 950** |
| მამუკა კვიტაშილი | აბაშის მოქმედი გამგებელი | - | - | 2 650 | - | 13 250 | - | **15 900** |
| დავით თოფურია | აბაშის საკრებულოს ყოფილი თავმჯდომარე | 11 800 | - | 13 250 | - | 11 950 | - | **37 000** |



# ქვემო ქართლი

ქვემო ქართლის მუნიციპალიტეტებში (რუსთავი, გარდაბანი, მარნეული, ბოლნისი, დმანისი, წალკა, თეთრიწყარო) 2012-2014 წლებში პრემიისა და სახელფასო დანამატის სახით 8 მილიონ ლარზე მეტი (**8 428 410.96**) იქნა გაცემული; თუმცა ეს მონაცემი არ არის სრული, რადგანაც ინფორმაცია გაცემული პრემიების შესახებ არ მოგვაწოდეს: გარდაბნის და დმანისის გამგეობებიდან 2012-2013 წლების მონაცემები არ მიგვიღია, მარნეულისა და წალკის გამგეობამ საერთოდ არ მოგვაწოდა ინფორმაცია, ასევე ინფორმაცია გაცემული პრემიის და დანამატის შესახებ არ მიგვიღია წალკის საკრებულოდან.

კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ ყველაზე დიდი მოცულობით თანხა ქვემო ქართლში რუსთავის მუნიციპალიტეტში გაიცა, ჯამში **4 675 090** ლარი. მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, 2012 – 2014 წლებში ყველაზე მაღალი პრემია ჯამში **48 655** ლარი მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ ისპანდირ ქემიროვმა მიიღო; გარდაბნის მუნიციპალიტეტის გამგეობის თანამშრომლებზე 2014 წლის ივლისიდან 2014 წლის დეკემბრამდე მოწოდებული მონაცემების მიხედვით, ირკვევა, რომ 21 თანამშრომელს პრემიის სახით ხელფასის 100%-ზე მეტი ჩაერიცხა.




2012-2014 წლებში ქვემო-ქართლის მუნიციპალიტეტების გამგეობებში (მერიაში) გაცემული პრემია და სახელფასო დანამატი
2014 წელი
2013 წელი
2012 წელი
თეთრიწყარო
398465
220020
327630
წალკა
მონაცემი არ არის
დმანისი
159350
მონაცემი არ არის
ბოლნისი
27120
460433
262790
მარნეული
მონაცემი არ არის
გარდაბანი
409307.5
მონაცემი არ არის
რუსთავი
1329588
1012880
1100662


2012-2014 წლებში ქვემო-ქართლის მუნიციპალიტეტების საკრებულოებში გაცემული პრემია და სახელფასო დანამატი
2014 წელი
2013 წელი
2012 წელი
თეთრიწყარო
61500
77960
59556
წალკა
მონაცემი არ არის
დმანისი
52290
31060
81530
ბოლნისი
66595
83824
71201.46
მარნეული
121610
147230
90565
გარდაბანი
224405
168957
149922
რუსთავი
548770
321560
361630

# შიდა ქართლი

შიდა ქართლის მუნიციპალიტეტებში **(გორი, კასპი, ქარელი, ხაშური)** 2012 წლის იანვრიდან 2014 წლის ივლისის ჩათვლით პრემიისა და სახელფასო დანამატის სახით ჯამში **7 მილიონ ლარზე მეტი იქნა** გაცემული.




ყველაზე დიდი მოცულობით შიდა ქართლის მუნიციპალიტეტებს შორის პრემია ხაშურისა და კასპის მუნიციპალიტეტებში გასცეს.






2014 წელს შექმნილ თვითმმართველი თემი გორის მუნიციპალიტეტის გამგეობამ ინფორმაცია გაცემული პრემიების შესახებ არ მოგვაწოდა, საკრებულოში კი **28 500** ლარი იქნა გაცემული, ხოლო რაც შეეხება ქალაქ გორის მერიაში პრემიის სახით **81 610** ლარი გაიცა, ქალაქ გორის საკრებულოში კი **23 470** ლარი.




აღსანიშნავია, რომ კასპის მუნიციპალიტეტში 2012 წელს ყოფილმა გამგებელმა კახაბერ ხაჩირაშვილმა და გამგებლის ყოფილმა მოადგილემ ნუგზარ ნონიაშვილმა პრემია 12-ჯერ აღირეს, აპრილსა და აგვისტოში კი ხელფასის ორმაგი ოდენობით. 2012 წელს ასევე 12-ჯერ აიღეს პრემია კასპის საკრებულოს ყოფილმა თავმჯდომარემ დავით მესროფაშვილმა და მისმა ყოფილმა მოადგილემ გიორგი გოგოლაურმა;

**დეტალური ინფორმაცია კასპის მუნიციპალიტეტის ყოფილი და მოქმედი ცალკეული თანამდებობის პირების მიერ აღებული პრემიის შესახებ წარმოდგენილია ცხრილში:**

| სახელი/ გვარი | პოზიცია | 2012 წ. | | 2013 წ. | | 2014 წ. | | ჯამი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | პრემია | დანამატი | პრემია | დანამატი | პრემია | დანამატი | |
| კახაბერ ხაჩირაშვილი | კასპის ყოფილი გამგებელი | 28 674 | - | - | - | - | - | **28 674** |
| ნუგზა ნონიაშვილი | კასპის გამგებლის ყოფილი მოადგილე | 11 484 | - | - | - | - | - | **11 484** |
| ომარ იაძე | კასპის გამგებლის ყოფილი მოვალეობის შემსრულებელი | - | - | 7 950 | - | - | - | **7 950** |
| გოჩა გოჩიტაიშვილი | კასპის მოქმედი გამგებელი | - | - | 5 300 | - | 7 950 | - | **13 250** |
| დავით მესროფაშვილი | კასპის საკრებულოს ყოფილი თავმჯდომარე | 34 081 | - | 5 300 | - | - | - | **39 381** |
| გიორგი გოგოლაური | კასპის საკრებულოს თავმჯდომარის ყოფილი მოადილე | 17 599 | - | 10 850 | - | - | - | **28 449** |
| ბუღაძე ნუგზარი | კასპის საკრებულოს მოქმედი თავმდჯომარე | - | - | | - | 2 650 | - | **2 650** |

# კახეთი

კახეთის მუნიციპალიტეტების **(ყვარელი, ახმეტა, გურჯაანი, სიღნაღი, დედოფლისწყარო, საგარეჯო, ლაგოდეხი, თელავი)** უმრავლესობამ მოგვაწოდა ჯამური ინფორმაცია წლების მანძილზე გაცემული პრემიების შესახებ, შესაბამისად უმრავლეს შემთხვევაში დაუდგენელია, თუ რა მოცულობის თანხა აიღეს პრემიის სახით კონკრეტული თანამდებობის პირებმა. **ჯამში 2012-2014 წლებში კახეთის მუნიციპალიტეტში 6 631 631.23 ლარი გაიცა.**









აღსანიშნავია, რომ საგარეჯოს საკრებულოს ყოფილმა თავმჯდომარემ **ილია ქიაურელმა** 2012-2014 წლებში პრემიის სახით ჯამში **11 635** ლარი მიიღო, ლაგოდეხის საკრებულოს ყოფილი თავმჯდომარის **დავით ბაკაშვილის** მიერ 2013-2014 წლებში მიღებულმა პრემიამ **10 600** ლარი შეადგინა;

თელავის ახლა უკვე ლიკვიდირებული მუნიციპალიტეტის გამგეობაში 2012-2013 წლებში გაცემული პრემიების შესახებ ინფორმაცია „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის" ვებგვერდიდან ავიღეთ, 2014 წელს გაცემული პრემიის შესახებ ინფორმაცია კი თელავის ახლად შექმნილმა გამგეობამ არ მოგვაწოდა იმ მიზეზით, რომ ლიკვიდირებული თელავის მუნიციპალიტეტის დოკუმენტაცია არქივშია გადატანილი.



# სამცხე-ჯავახეთი

სამცხე ჯავახეთის მუნიციპალიტეტებში (ბორჯომი, ახალციხე, ადიგენი, ასპინძა, ახალქალაქი, ნინოწმინდა) 2012-2014 წლებში პრემიისა და სახელფასო დანამატის სახით ჯამში 3 370 911.65 ლარი გაიცა. ანგარიშში არ არის ასახული ინფორმაცია ახალციხის აწ უკვე ლიკვიდირებული მუნიციპალიტეტის გამგეობაში 2014 წელს გაცემული პრემიისა და დანამატის შესახებ, რადგან ეს ინფორმაცია არც ახალშექმნილი თვითმმართველი ქალაქის ადმინისტრაციასა და არც მუნიციპალიტეტის გამგეობაში არ მოიპოვება.

**პრემიისა და დანამატის გაცემის მაჩვენებელი სამცხე-ჯავახეთის მხარეში მნიშვნელოვნად გაიზარდა 2013 წელს, ყველა მუნიციპალიტეტში გაცემული თანხის ოდენობამ 1.5 მილიონ ლარზე მეტი შეადგინა, რაც მნიშვნელოვნად აღემატება როგორც 2012, ასევე 2014 წლების მონაცემებს.**









აღსანიშნავია ასევე ისიც, რომ 2014 წელს შექმნილ თვითმმართველი ქალაქ ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიასა და თვითმმართველი თემი ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გაცემული პრემიების შესახებ ინფორმაცია არ მოუწოდებიათ.



# მცხეთა-მთიანეთი

მცხეთა-მთიანეთის თვითმმართველობებში **(თიანეთი, მცხეთა, დუშეთი და ყაზბეგი)** 2012-2014 წლებში პრემიისა და სახელფასო დანამატის სახით ჯამში **2 330 674** ლარი იქნა გაცემული. თანხის თითქმის ნახევარი – **1 256 479** ლარი მცხეთის აწ უკვე ლიკვიდირებული მუნიციპალიტეტის ყოფილმა მოხელეებმა მიიღეს.









რაც შეეხება 2014 წელს შექმნილ თვითმმართველი თემი მცხეთისა და თვითმმართველი ქალაქ მცხეთის მუნიციპალიტეტებს ჯამში გამგეობა/მერია და საკრებულოების თანამშრომლებმა პრემიის სახით **197 720** ლარი მიიღეს.



# რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი

რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მუნიციპალიტეტებში (ონი, ამბროლაური, ცაგერი, ლენტეხი) 2012-2014 წლებში პრემიისა და სახელფასო დანამატის სახით 1 მილიონ ლარზე მეტი (1 143 661.94) იქნა გაცემული, თუმცა ეს არ არის სრული მონაცემი, რადგანაც ინფორმაცია 2012-2013 წლებში გაცემული პრემიების შესახებ არ მოგვაწოდა ცაგერის მუნიციპალიტეტის გამგეობამ, ცაგერის საკრებულოს მიერ 2012-2013 წლებში გაცემული პრემიების შესახებ მონაცემები იმდაგვარად იქნა მოწოდებული, რომ შეუძლებელია ზუსტი ციფრის დადგენა.







2012-2014 წლებში რაჭა ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მუნიციპალიტეტების საკრებულოებში გაცემული პრემია და სახელფასო დანამატი
2014 წელი
2013 წელი
2012 წელი
ლენტეხი
8955
14435
18005
ცაგერი
11800
მონაცემი არ არის
ამბროლაური (ლიკვიდირებული)
45110
22310
27120
ონი
54600
18330
17009

# გურია

გურიის მუნიციპალიტეტებში **(ჩოხატაური, ლანჩხუთი, ოზურგეთი)** 2012-2014 წლებში პრემიისა და სახელფასო დანამატი სახით ჯამში 1 მილიონ ლარზე მეტი იქნა გაცემული; აღსანიშნავია, რომ 2013 წელს პრემია და სახელფასო დანამატი არ მიუღიათ აწ უკვე ლიკვიდირებულ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობისა და საკრებულოს თანამშრომლებს. პრემია ასევე არ გაცემულა 2014 წელს შექმნილ თვითმმართველი ქალაქ ოზურგეთის მერიისა და საკრებულოში.









2014 წელს შექმნილ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობასა და საკრებულოს პრემიის სახით მთლიანობაში **151 700** ლარი იქნა გაცემული, აქედან **119 610** ლარი მიიღეს გამგეობის, ხოლო **32 090** ლარი, საკრებულოს თანამშრომლებმა.



# დასკვნა

ადგილობრივი თვითმმართველობის თანამდებობის პირებზე და პრემია უმრავლეს შემთხვევაში გაიცა ისე, რომ მუნიციპალიტეტებს შესაბამისი წესი არ ჰქონდათ განსაზღვრული. თვითმმართველობებმა პრემიის ოდენობის განსაზღვრისა და გაცემის წესის შესახებ დადგენილებების მიღება მხოლოდ 2014 წლის ოქტომბრის თვიდან დაიწყეს.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველომ" შეისწავლა რამდენიმე მუნიციპალიტეტის[1] მიერ მიღებული დადგენილება და წარმოგიდგენთ შესაბამის შენიშვნებსა და რეკომენდაციებს.

უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ თვითმმართველობებში პრემიის გაცემის წესის განსაზღვრა მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯია, თუმცა მუნიციპალიტეტების უმეტესობის მიერ მიღებული დადგენილება ბუნდოვანია და შეიცავს ჩანაწერებს, რომლებიც შესაძლოა, პრემიის გაცემის მანკიერი პრაქტიკის გაგრძელების საფუძველი გახდეს.

როგორც ჩვენს მიერ ჩატარებულმა კვლევამ ცხადყო, მუნიციპალიტეტების დადგენილებები „საჯარო დაწესებულებებში პრემიის ოდენობის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 ივლისის 449-ე დადგენილების იდენტურია.

მუნიციპალიტეტების მიერ დადგენილი წესის თანახმად:

- პრემია პირებზე გაიცემა დაკისრებული უფლებამოსილებების ზედმიწევნით და სანიმუშოდ შესრულებისათვის, ხანგრძლივი და კეთილსინდისიერი სამსახურისათვის ან/და განსაკუთრებული სირთულის ან მნიშვნელობის დავალების შესრულებისათვის;
- ერთჯერადად გაცემული პრემიის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს თანამდებობრივ სარგოს და პრემია შეიძლება გაიცეს კვარტალში ერთხელ;
- პრემიის გაცემის შესახებ ინიცირება უნდა იყოს დასაბუთებული, რომელშიც უნდა მიეთითოს გასაცემი პრემიის ოდენობა, მისი პროცენტული მიმართულება თანამდებობრივ სარგოსთან, ინფორმაცია მიმდინარე წლის განმავლობაში ამ პირზე გაცემული პრემიის შესახებ;
- პრემია შეიძლება გაიცეს, ასევე წელიწადში არაუმეტეს სამჯერ, საქართველოს შრომის კოდექსით განსაზღვრულ უქმე დღეებთან დაკავშირებით;
- ცალკეულ მუნიციპალიტეტებში ასევე შესაძლებელია პრემია გაიცეს დადგენილი წესიდან გამონაკლის შემთხვევაში, რისთვისაც საჭიროა გამგებლის/მერის ან/და საკრებულოს თავმჯდომარის მოტივირებული შუამდგომლობა და საქართველოს პრემიერ-მინისტრის თანხმობა.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს" პოზიციით:

- **დაუშვებელია პრემიის გაცემა საქართველოს შრომის კოდექსით განსაზღვრულ უქმე დღეებთან დაკავშირებით.** პრემია უნდა გაიცეს მხოლოდ მოხელის მიერ მასზე დაკისრებული ფუნქციების სანიმუშოდ შესრულების სანაცვლოდ.

[1] ქალაქი ახალციხე, თემი ახალციხე, ქალაქი ზუგდიდი, თემი ზუგდიდი, თიღვა, გურჯაანი, დედოფლისწყარო, მარტვილი, კასპი, ფოთი, საჩხერე, სენაკი, წალკა, საგარეჯო, ცაგერი, ჭიათურა, ბაღდათი, გორი, ასპინძა, აჟარა, ერედვი, წყალტუბო, ხელვაჩაური, ქედა და ქობულეთი

- ცალკეული მუნიციპალიტეტების *(ტყიბული, საჩხერე, ქალაქი ზუგდიდი, დედოფლისწყარო, ახალციხე და სხვ.)* მიერ მიღებულ დადგენილებაში განმარტებულია პრემიის ცნება, რომლის მიხედვით, პრემია არის – „საჯარო დაწესებულებაში დასაქმებულ პირზე გაცემული შრომითი გასამრჯელო, რომელიც გაიცემა დაკისრებული უფლებამოსილების ზედმიწევნით და სანიმუშოდ შესრულებისათვის, ხანგრძლივი და კეთილსინდისიერი სამსახურისათვის, ან/და განსაკუთრებული სირთულის ან მნიშვნელოვანი დავალების შესრულებისათვის". ეს ბუნდოვანი ჩანაწერი მუნიციპალიტეტებს მისცემს შესაძლებლობას პრემია გასცენ წელიწადში სამჯერ, მხოლოდ ზღვრული ოდენობის გათვალისწინებით, პრემიის, როგორც წახალისების ინსტრუმენტის, განმარტებაში წარმოდგენილი პრემიის არსის და შესრულებული სამუშაოს ხარისხის გათვალისწინების გარეშე. ყოველივე ამან კი, შესაძლოა, პრემიათა გაცემის მანკიერი პრაქტიკის უცვლელი გაგრძელება განაპირობოს. ჩვენი ორგანიზაციის მიერ გამოქვეყნებული კვლევების თანახმად, არ ყოფილა არც ერთი შემთხვევა, როდესაც კონკრეტულ საჯარო მოხელეზე პრემიის გაცემა დასაბუთებული იყო მის მიერ სამუშაოს სანიმუშოდ შესრულებისთვის. ასევე ნათლად იკვეთებოდა, რომ პრემიების გაცემა ხდებოდა მხოლოდ დღესასწაულთან დაკავშირებით.
- **არც ერთ მუნიციპალიტეტს დადგენილებაში პრემიის გაცემის წესის განსაზღვრის შესახებ არ აქვს წარმოდგენილი თუნდაც მინიმალური კრიტერიუმები, რომლის მიხედვითაც შესაძლებელი იქნება მოხელის მიერ შესრულებული სამუშაოს ობიექტური და მიუკერძოებელი შეფასება.** აუცილებელია, რომ მუნიციპალიტეტებმა შეიმუშავონ „საჯარო დაწესებულებაში სამუშაოს შეფასების სისტემა", რომელიც იქნება პრემიების გაცემის წესის დადგენილების ნაწილი;
- **პრემიის გაცემის წესის განსაზღვრასთან ერთად უნდა შემუშავდეს მოხელის სამსახურეობრივი დაწინაურების სქემაც.** თუკი კონკრეტული საჯარო მოხელის მიერ გაწეული სამუშაო წლის მანძილზე რამდენჯერმე იქნა სანიმუშოდ შეფასებული, შესაძლებლობის შემთხვევაში უნდა მოხდეს მისი სამსახურეობრივი დაწინაურება. მუნიციპალიტეტს კი უნდა ჰქონდეს მოხელის სამსახურეობრივი დაწინაურების ზოგადი გეგმაც;
- **აუცილებელია მუნიციპალიტეტების მიერ მიღებული პრემიის გაცემის წესში დაზუსტდეს, რომ პრემიები შეიძლება გაიცეს კვარტალში ერთხელ, არ წარმოადგენს ცალსახად უარყოფით ცვლილებას**, რადგან დგინდება დამატებითი შეზღუდვა, რაც ამ შესაძლებლობის ბოროტად გამოყენების შანსს შეამცირებს. თუმცა მნიშვნელოვანია, რომ ამან **არ გამოიწვიოს პრემიების, ავტომატურ რეჟიმში, კვარტალში ერთხელ გაცემა** და ყოველ გადაწყვეტილებას პრემიის გაცემის თაობაზე თან უნდა ახლდეს მყარი დასაბუთება.
- **დაუშვებელია პრემიის გაცემა დადგენილი წესიდან გამონაკლის შემთხვევებში**, რის შესაძლებლობასაც ცალკეული მუნიციპალიტეტების *(საჩხერე, ტყიბული, გორი, კასპი და სხვ.)* მიერ მიღებული დადგენილება იძლევა. გამონაკლის შემთხვევაში პრემიის გაცემისათვის საჭიროა გამგებლის/მერის ან/და საკრებულოს თავმჯდომარის მოტივირებული შუამდგომლობა და პრემიერმინისტრის თანხმობა. ვფიქრობთ, რომ ეს ნორმაც ბუნდოვანი და წინააღმდეგობრივია და იძლევა კიდევ ერთ საფუძველს პრემირების მანკიერი პრაქტიკის გასაგრძელებლად, ასევე გაუგებარია, რატომ უნდა იძლეოდეს პრემიერმინისტრი თანხმობას თვითმმართველობის მოხელისთვის პრემიის გაცემაზე. გარდა ზემოთქმულისა, ამ ნორმის არსებობა დეცენტრალიზაციის დაბალი ხარისხის კიდევ ერთი მაჩვენებელია. „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს" პოზიციით, იგი ამოღებულ უნდა იქნეს შესაბამისი მუნიციპალიტეტების მიერ მიღებული დადგენილებებიდან;

- **პრემია უნდა გაიცეს კონკრეტული საჯარო მოხელის თაობაზე გამოცემული ინდივიდუალურ სამართლებრივი აქტის საფუძველზე**, სადაც სრულყოფილად იქნება წარმოდგენილი მოხელის მიერ განხორციელებული სამუშაო და მისი შედეგები;
- **პრემირების მაქსიმალურად გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად, სასურველია, რომ ინფორმაცია თანამდებობის პირებზე გაცემული პრემიისა და მისი საფუძვლების შესახებ პროაქტიულად გამოქვეყნდეს**. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 44-ე მუხლის თანამდებობის პირთა პერსონალური მონაცემები (მათ შორის ინფორმაცია თანამდებობის პირებზე გაცემული პრემიის შესახებ) საჯაროა და არ მიეკუთვნება საიდუმლო ინფორმაციას.

აქამდე მუნიციპალიტეტში პრემიების გაცემის წესი რაიმე სახის დადგენილებით არ იყო განსაზღვრული და ყოველგვარი დასაბუთების გარეშე გაიცემოდა, რასაც „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ რეკომენდაციებით არაერთხელ გამოეხმაურა.

გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 ივლისის 449-ე დადგენილებით „საჯარო დაწესებულებებში პრემიის ოდენობის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებზე სავალდებულო წესით არ ვრცელდება, იგი მხოლოდ სარეკომენდაციო ხასიათისაა. აქედან გამომდინარე, მუნიციპალიტეტები არ არიან ვალდებული მთავრობის მიერ განსაზღვრული წესი უცვლელად გადმოიტანონ საკუთარ დადგენილებაში, შესაბამისად მუნიციპალიტეტებს აქვთ კანონიერი უფლება დადგენილების პრეამბულაში მთავრობის 449-ე დადგენილება მითითების გარეშე დამოუკიდებლად განსაზღვრონ პრემიის გაცემის წესი, მისი ოდენობა და სიხშირე.

ასევე მნიშვნელოვანია საზოგადოებას მიეწოდოს ინფორმაცია, თუ რა ეტაპზეა პარლამენტის ყოფილი წევრის თინა ხიდაშელის მიერ ინიცირებული კანონპროექტი, რომელიც საჯარო უწყებებში დასაქმებულ პირთა პრემირების ახალ წესებს ითვალისწინებს. კანონის პროექტით, გათვალიწინებული რეგულაციები მნიშვნელოვნად განსხვავდება მთავრობისა და მუნიციპალიტეტების მიერ მიღებული დადგენილებებისაგან, მას შემოაქვს ერთიანი წესები ყველა საჯარო უწყებისათვის და მნიშვნელოვნად ზღუდავს ადმინისტრაციული ორგანოების მხრიდან დასაბუთების გარეშე პრემიის გაცემის შესაძლებლობას.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ მოუწოდებს მუნიციპალიტეტებს უახლოეს მომავალში დაგეგმილ საკრებულოს სხდომაზე იმსჯელონ ჩვენს მიერ მიწოდებულ რეკომენდაციებზე და შეიტანონ ცვლილებები თავიანთ დადგენილებებში, რაც ერთის მხრივ, მნიშვნელოვანად მოაგვარებს არსებულ მანკიერ პრაქტიკას და ამავდროულად ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტის ფინანსური რესურსების ეკონომიას და ხარჯვის გამჭვირვალობას. ამასთანავე „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ მიაჩნია, რომ დაუშვებელია მუნიციპალიტეტის ორგანოების მიერ საჯარო ინფორმაციის მოთხოვნების იგნორირება და კანონის უხეში დარღვევით ინფორმაციის არგასაჯაროვება. ეს მანკიერი პრაქტიკა კიდევ ერთხელ ლახავს მუნიციპალიტეტის იმიჯს, ეჭვქვეშ აყენებს მათი ქმედებების სისწორესა და დამატებით ეჭვებს აჩენს მათი საქმიანობის შესახებ. კანონის უზენაესობის პრინციპზე დამყარებული სახელმწიფოსთვის არ არის დამახასიათებელი კანონის უხეში დარღვევით ინფორმაციის დამალვა და უპასუხისმგებლო დამოკიდებულება ლეგიტიმური საჯარო ინტერესის მიმართ.